

# წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. წაკითხულის გააზრების ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. ანალიტიკური წერის ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან:  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20.  
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 10.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



# წაკითხულის გააზრება

C ტიპის ტესტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

# ტექსტი A

- I ძველი ბერძენი ტრაგიკოსები ტრაგედიების შექმნისას, უმთავრესად, ბერძნული მითების ლიტერატურულად გადამუშავებულ ნაწარმოებებს მიმართავდნენ. მათთვის ძირითადი წყარო ნარატიული, ე. წ. საგმრო ეპოსი – ჰომეროსის პოემები და კიკლიკური პოეზია, ასევე, საგუნდო ლირიკა იყო. ძველის შემოქმედებითად ათვისება – ეპიკური თუ ლირიკული ნარატიული ინფორმაციის დრამატულ ინფორმაციად ტრანსფორმაცია – შეგნებული ინტერტექსტუალური რეფორმის გატარებით განხორციელდა.
- II სწორედ ეპიკური ნარატივის დიალოგურ რეჟიმში გადაყვანის პროცესში მოხდა ტრაგედიის გმირების, დრამატული პერსონაჟების სახეთა ფორმირება, რაც რეალიზებული იყო ტრაგედიის პერსონაჟთა მოქმედებასა და ხასიათში.
- III ესქილე თავისი ტრაგედიების გმირებს „ნახევრად ღმერთებს“ უწოდებს. ეს ეპითეტი გმირთა ეპოქის ადამიანების მიმართ ჯერ კიდევ ჰომეროსამდე გამოიყენებოდა. ესქილეს გმირები არ უთანაბრდებიან ღმერთებს, რადგან ჩვეულებრივი ადამიანებივით მოკვდავნი არიან, მაგრამ თავიანთი საგმრო, უკვდავი საქმეებით ემსგავსებიან ზეციურთ. ესქილე ამაცობს იმით, რომ მან ჰომეროსის კვალდაკვალ წარმოადგინა ცნობილი გმირები, რომლებსაც არაორდინალური, ამაღლებული მოქმედება და მეტყველება ახასიათებთ. მიუხედავად იმისა, რომ ესქილეს გმირი ისე წარმართავს ყველაფერს, როგორც ღმერთს უნდა, ის საკმაოდ ანალიტიკურია, როდესაც მოქმედების გზას ირჩევს. ამ არჩევანამდე ის თავისი გონებითა და ემოციებით მიდის, რასაც ხშირად სიტყვიერი დასაბუთებაც ახლავს თან. შესაბამისად, ესქილეს გმირი ღმერთის ხელში მოხვედრილი სათამაშო კი არ არის, არამედ პიროვნებაა, რომლის არჩევანი ღმერთისაგან მითითებულ გზას თანხვდება. ამგვარად, ესქილეს ტრაგიკული გმირი ჩვეულებრივი ადამიანი არ არის, ის განსაკუთრებული ფიგურაა, რომელიც ჰომეროსის გმირთაგან მეტი ანალიტიკურობითა და საზოგადოებრივი თვითშეგნების უფრო მაღალი დონით გამოირჩევა.

*ტექსტის გაგრძელება →*

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

IV სოფოკლეს გმირი ერთიანი ხასიათის მქონე პერსონაჟია. ის განსაკუთრებული ჰუმანურობით გამოირჩევა. სოფოკლეს ტრაგედიებში ერთმანეთს ებრძვის და უპირისპირდება, ერთი მხრივ, შური, სიძულვილი, უნდობლობა, ხოლო, მეორე მხრივ, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, ნდობა. მთავარი გმირი ამ დაპირისპირებაშია ჩაბმული, ის შეიძლება ამ ბრძოლას შეეწიროს კიდეც, თუმცა ტრაგედიის ბოლოს მაინც ხდება ბოროტების დაძლევა. სწორედ ამიტომ სოფოკლეს ტრაგედიის ფინალში, როგორც წესი, ყველა პერსონაჟი ჰუმანური, ადამიანური ხდება.

V ევრიპიდე თავის გმირს ერთი კონკრეტული სცენის ფარგლებში განიხილავს და ამ სცენაში გამოხატულ გრძნობას ზედმიწევნით დეტალურად გადმოსცემს. სწორედ ამიტომ მასთან ესოდენ მდიდარია როგორც ადამიანთა სახეების, ისე მათი ემოციების პალიტრა. მისი პერსონაჟის ხასიათი არ არის ერთიანი, იგი იცვლება სიტუაციების შესაბამისად. ამ დროს სუსტი წარმოგვიდგება მამაცად და სულიერად ძლიერად, კეთილშობილი ადამიანი – სასტიკ შურისმგებლად, შვილების მოყვარული დედა – მათ მკვლელად და ა. შ. ევრიპიდეს პერსონაჟებს ფსიქიკური ლაბილობა ახასიათებთ და მათ ემოციებს, ისევე, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავთა განცდებს, არათანამიმდევრული ხასიათი აქვს.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

1. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) მიმოიხილოს ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიათა გმირების თავისებურებანი.
- (ბ) ახსნას ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს პერსონაჟთა მოქმედების მოტივები.
- (გ) მიმოიხილოს ცალკეული ტრაგიკოსის როლი ეპიკური ნარატივის დიალოგის ფორმით წარმოდგენაში.
- (დ) ესქილესა და ევრიპიდეს დრამატულ პერსონაჟთა მიმოხილვის ფონზე გამოკვეთოს სოფოკლეს პერსონაჟთა ორიგინალური ხასიათი.
- (ე) ხაზი გაუსვას ტრაგედიის კავშირს ეპიკურ ნარატივთან.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

2. ევრიპიდეს ტრაგედიებში პერსონაჟთა ხასიათის ცვლილების მაგალითები მოყვანილია იმის საჩვენებლად, რომ:

- (ა) ევრიპიდეს პერსონაჟთა შორის განსაკუთრებული ემოციურობით ქალები გამოირჩევიან.
- (ბ) ევრიპიდეს პერსონაჟები გაცილებით ემოციურები არიან, ვიდრე ესქილესა და სოფოკლესი.
- (გ) ევრიპიდეს ტრაგედიების პერსონაჟები მისი ეპოქის განზოგადებულ სახეებს წარმოადგენენ.
- (დ) ევრიპიდეს პერსონაჟთა ხასიათის ცვლილებები ხშირად არამოტივირებულია.
- (ე) ევრიპიდეს პერსონაჟების ხასიათზე გავლენას ახდენს კონკრეტული გარემოებები.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

3. ესქილეს ტრაგედიათა პერსონაჟების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

- (ა) ესქილეს პერსონაჟთა ქმედებას მთლიანად ღმერთები განაგებენ.
- (ბ) ესქილე, ისევე როგორც ჰომეროსი, საკუთარ პერსონაჟებს „ნახევრად ღმერთებს“ უწოდებს.
- (გ) ესქილეს გმირები ჰომეროსის გმირებთან შედარებით მეტი თავდაჯერებულობითა და სითამამით გამოირჩევიან.
- (დ) ესქილეს გმირები, მიუხედავად თავიანთი საგმირო საქმეებისა, ღმერთებს არ ემსგავსებიან.
- (ე) ესქილეს გმირის მოქმედება, რომელიც ღმერთების სურვილს ემთხვევა, მის პირად არჩევანსაც წარმოადგენს.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

4. ტექსტის მიხედვით, რა იყო ტრაგედიის პერსონაჟთა ფორმირების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი?

(ა) ტრაგიკოსთა მიერ ძირითად წყაროდ წარატყული, ე. წ. საგმირო ეპოსის გამოყენება.

(ბ) ძველი წარატყული ეპოსისა და ლირიკის დრამატულ ფორმაში გადაყვანა.

(გ) ბერძენთათვის კარგად ცნობილი მითების გაცოცხლება.

(დ) ბერძენი ტრაგიკოსების განსაკუთრებული ნიჭი.

(ე) ტრაგედიის პერსონაჟთა ხასიათების სიმრავლე.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------



5. რა არ გამომდინარეობს IV აზნაციდან?

- (ა) დაპირისპირების დაძლევა სოფოკლეს ტრაგედიაში მოქმედების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.
- (ბ) სოფოკლეს ტრაგედიებში ყველა პერსონაჟი ჰუმანური ხდება.
- (გ) სოფოკლეს ტრაგედიებში დადებითი და უარყოფითი პერსონაჟების ფართო სპექტრია წარმოდგენილი.
- (დ) სოფოკლეს ტრაგედიებში უარყოფით ემოციებზე ყოველთვის დადებითი ემოციები იმარჯვებს.
- (ე) სოფოკლეს ტრაგედიებში ფინალი ერთსა და იმავე იდეას ემსახურება.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

6. ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიების შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

(ა) ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიათა სიუჟეტები მანამდე არსებულ ლიტერატურულ ტრადიციას ეფუძნება.

(ბ) ესქილესა და ევრიპიდეს გმირები ყოფითი ქმედებებით გამოირჩევიან, ხოლო სოფოკლეს გმირებს არაორდინარული ქცევა ახასიათებთ.

(გ) ესქილეს პერსონაჟები, სოფოკლესა და ევრიპიდეს პერსონაჟებთან შედარებით, მეტი ვნებათაღელვით გამოირჩევიან.

(დ) სამი დიდი ტრაგიკოსის ტრაგედიებში, რომლებიც ბერძნულ მითოლოგიურ სიუჟეტებზეა აგებული, ღმერთები განაგებენ გმირთა ბედს.

(ე) სოფოკლეს ტრაგედიის გმირები უფრო ახლოს დგანან ჰომეროსის ეპოსის ხასიათებთან, ვიდრე ესქილესი.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

7. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება ყველაზე მეტად მოცემულ ტექსტს სათაურად?

- (ა) ანტიკური ეპოსის როლი ტრაგედიის ჩამოყალიბებაში
- (ბ) ანტიკური მითოლოგიიდან ანტიკურ დრამამდე
- (გ) ემოციების როლი ანტიკურ ტრაგედიაში
- (დ) დიალოგის მნიშვნელობა ანტიკური დრამის ჩამოყალიბებაში
- (ე) სამი დიდი ტრაგიკოსის გმირთა სახეების სპეციფიკა

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

# ტექსტი B

დამწერლობა საკომუნიკაციო საშუალებაა, რომელიც ინფორმაციის ფიქსირებისა და სხვისთვის გადაცემის შესაძლებლობას იძლევა, რაც, თავის მხრივ, გარკვეული ნიშნების არსებობას გულისხმობს. ეს ნიშნები ანაცვლებს ობიექტებს და მათი განხილვა შესაძლებელია მათი ფორმის – გრაფიკული გამოსახულებისა და შინაარსის – სემანტიკური მნიშვნელობის მიხედვით. არსებობს დამწერლობის ორი ძირითადი ტიპი – **იდეოგრაფიული** და **ფონოგრაფიული**.

**იდეოგრაფიული ტიპის** დამწერლობის ნიშნები არ არის უშუალოდ დაკავშირებული კონკრეტული ენის ბგერით ფორმასთან. იდეოგრაფიული ნიშნები აღნიშნავს არა რომელიმე ენის ბგერით ელემენტებს (ცალკეულ სიტყვებს, მარცვლებს, ბგერებს), არამედ საგნებს, ცნებებსა და მოვლენებს. არსებობს ორი სახის იდეოგრაფიული ნიშნები; პირველ შემთხვევაში ნიშანს აქვს გარეგნული მსგავსება აღსანიშნ ობიექტთან. ამგვარ სისტემას დამწერლობის **პიქტოგრაფიული სისტემა** ეწოდება, ხოლო ცალკეულ ნიშნებს – **პიქტოგრამები**. „იდეალური“ პიქტოგრამების შემთხვევაში ნებისმიერ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს შეუძლიათ ტექსტის იოლად „წაკითხვა“. პიქტოგრაფიული დამწერლობის კლასიკური ნიმუშია ძველი ჩინური და, ნაწილობრივ, ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა. პიქტოგრაფიული დამწერლობის ისტორია იწყება მაშინ, როდესაც პირველყოფილი ადამიანი კლდის მხატვრობას მიმართავს საკუთრივ კომუნიკაციური მიზნებისათვის, ინფორმაციის შენახვისა და სხვებისათვის გადასაცემად, და არა მხოლოდ მაგიურ-სარიტუალო დანიშნულებითა თუ საკუთარი ფანტაზიის გამოსახატავად.

იდეოგრაფიული დამწერლობის მეორე სახეს განეკუთვნება ისეთი სისტემები, რომლებშიც აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირი პირობითია. ასეთ მოდელებს **კონვენციური სისტემები** ეწოდება. ისინი დღესაც საკმაოდ ფართოდ გამოიყენება. ასეთია, მაგალითად, მეცნიერული ტერმინების ნაწილი ან ციფრების აღმნიშვნელები. ისინი არ არის დაკავშირებული კონკრეტული ენის ბგერით ფორმასთან და მთლიან (მაგალითად, რიცხვით) ცნებებს გამოხატავს.

**ფონოგრაფიული ტიპის** დამწერლობაში აღმნიშვნელი მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკრეტული ენის ბგერით ფორმასთან, ხოლო მისი კავშირი აღსანიშნ ობიექტთან პირობითია. ფონოგრაფიულ სისტემებს შორის განასხვავებენ ისეთ მოდელებს, რომელთა ფარგლებში ნიშანი აღნიშნავს: (ა) მთლიან სიტყვას; (ბ) ცალკეულ მარცვალს; (გ) ცალკეულ ბგერას ან ფონემას. შესაბამისად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ: **ლოგოგრაფიულ**, **სილაბოგრაფიულ** და **ანბანურ** დამწერლობას.

*ტექსტის გაგრძელება ->*

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

ისტორიულ ჭრილში ლოგოგრამები პიქტოგრამების შემდგომი განვითარებაა. დროთა განმავლობაში პიქტოგრამა კარგავდა გარეგნულ მსგავსებას აღსანიშნ ობიექტთან და სულ უფრო პირობით სახეს იღებდა. პიქტოგრაფიული დამწერლობა გადმოსცემს ენის შინაარსს, მაგრამ არ ასახავს მის ბგერით ფორმას, ლოგოგრაფიული დამწერლობა კი გადმოსცემს როგორც სიტყვის შინაარსს, ისე მის ჟღერადობას. ცხადია, პიქტოგრამების ლოგოგრამებით ჩანაცვლება ერთბაშად არ მომხდარა, ისინი გარკვეული დროის განმავლობაში თანაარსებობდა.

ლოგოგრაფიულ დამწერლობას რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი აქვს. მაგალითად, ლოგოგრამა ცალკეულ სიტყვას აღნიშნავს, შესაბამისად, თითოეულ განსხვავებულ სიტყვას ცალკე სიმბოლო სჭირდება. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ენაში სიტყვათა რაოდენობა მრავალ ათეულ ათასს შეადგენს, მაშინ ცხადი ხდება, რომ ლოგოგრაფიული დამწერლობა ენის მთელ ლექსიკას ვერ მოიცავს. გარდა ამისა, ლოგოგრაფიული დამწერლობით მხოლოდ შეზღუდულად ან საერთოდ არ გადმოიცემა სინტაქსური კონსტრუქციები და ენობრივი ნიუანსები.

შემდგომ ეტაპზე ლოგოგრაფიული დამწერლობის საფუძველზე დაიწყო სილაბოგრაფიული დამწერლობის განვითარება. აქ სიმბოლოები უკვე არა ცალკეულ სიტყვას, არამედ გარკვეულ მარცვალს გამოხატავს. აღსანიშნავია, რომ როგორც ჩინური, ისე შუმერული ენების ლექსიკა გამოირჩევა ერთმარცვლიანი ელემენტების სიჭარბით, რაც სილაბოგრაფიულ სისტემებზე გადასვლის მძლავრ ხელშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ. ამრიგად, ლოგოგრაფიასთან ერთად წერის ამგვარ სისტემებში ვითარდება სილაბოგრაფიული პრინციპი, რის შედეგადაც ყალიბდება შერეული ლოგოგრაფიულ-სილაბოგრაფიული წერითი სისტემები.

სილაბოგრაფიული ტიპის დამწერლობის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია კონსონანტური დამწერლობა, რომლის ფარგლებში ცალკეული ნიშანი რომელიმე თანხმოვანს გამოხატავს. კონსონანტური ასოთდამწერლობა მარტივი ტიპის დამწერლობაა და ის იოლად და შედარებით სწრაფად გავრცელდა საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე.

კონსონანტური წერის სისტემებს მოჰყვა საკუთრივ ანბანური დამწერლობის შექმნა, როდესაც ძველი სემიტური კონსონანტურ-სილაბური დამწერლობის საფუძველზე ძველ საბერძნეთში წარმოიშვა პირველი ანბანური წერის სისტემა. ანბანური დამწერლობა ნიშანთა მცირე რაოდენობით (20-40 ნიშნის დახმარებით) ნებისმიერი სიდიდის ტექსტის შექმნის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ანბანური დამწერლობა საკმაოდ მაღალი სიზუსტით ასახავს ენის ბგერით, ფონეტიკურ მხარეს და მეტყველების ვერბალური ნაწილის იმიტაციის საკმაოდ კარგ შესაძლებლობას იძლევა.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) მიმოიხილოს დამწერლობის წარმოშობის მიზეზები.
- (ბ) განიხილოს დამწერლობის ტიპები და მისი განვითარების ისტორია.
- (გ) წარმოაჩინოს ანბანური დამწერლობის უპირატესობა დამწერლობის სხვა ტიპებთან შედარებით.
- (დ) განსაზღვროს სხვადასხვა წერითი სისტემის გავრცელების არეალი.
- (ე) განსაზღვროს სხვადასხვა ტიპის დამწერლობის ძირითადი ფუნქციები.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

9. ავტორს პრიმიტიული კლდის მხატვრობის მაგალითი მოჰყავს იმის საჩვენებლად, რომ:

- (ა) დამწერლობის უძველესი ტიპის წარმოშობა პირველყოფილი ადამიანის მიერ ნახატების კომუნიკაციური მიზნებით გამოყენებას უკავშირდება.
- (ბ) პიქტოგრაფიული დამწერლობის ფუნქცია, ისევე როგორც დამწერლობის სხვა ტიპებისა, ენობრივი შინაარსის გრაფიკული ფორმით გამოხატვაა.
- (გ) პიქტოგრაფიული დამწერლობა მხოლოდ გარკვეულ შინაარსებს გამოხატავს და არა ენობრივ ფორმებს.
- (დ) პიქტოგრამები, როგორც დამწერლობის უძველესი ტიპის ნიმუშები, კლდის მხატვრობაშია შემორჩენილი.
- (ე) პიქტოგრაფიული დამწერლობის წარმოშობაზე დიდი გავლენა მოახდინა პრიმიტიული კლდის მხატვრობის მაგიურ-სარიტუალო ხასიათმა.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

10. დამწერლობათა შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

- (ა) დამწერლობის კონვენციური სახე, პიქტოგრაფიულისაგან განსხვავებით, არ არის დაკავშირებული კონკრეტული ენის ბგერით ფორმასთან.
- (ბ) დღეს იდეოგრაფიული დამწერლობის არცერთი სახე აღარ გამოიყენება.
- (გ) ლოგოგრაფიულმა დამწერლობამ თავისი უპირატესობების გამო ერთბაშად ჩაანაცვლა პიქტოგრაფიული დამწერლობა.
- (დ) ლოგოგრაფიული დამწერლობა ანბანურთან შედარებით დახვეწილია, რადგან ცალკეული სიტყვის გამოსახვისათვის თითო სიმბოლოს იყენებს.
- (ე) კონვენციურ დამწერლობაში აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის კავშირი პირობითია, პიქტოგრაფიულში კი ნიშანს გარკვეული გარეგნული მსგავსება აქვს აღსანიშნთან.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------



11. ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) განვითარების კვალდაკვალ დამწერლობა სულ უფრო კარგად ახერხებდა მეტყველების ვერბალური მხარის გადმოცემას.
- (ბ) დამწერლობის სხვადასხვა ტიპი გარკვეული დროის განმავლობაში ერთმანეთის პარალელურად არსებობდა.
- (გ) დამწერლობის ტიპების ჩამოყალიბებას ყოველთვის წმინდა ენობრივი თავისებურებები განსაზღვრავს.
- (დ) დამწერლობის სხვადასხვა სისტემაში ენის ბგერითი ფორმა სხვადასხვაგვარად აისახება.
- (ე) დამწერლობის განვითარების კვალდაკვალ ნიშანი კარგავდა მსგავსებას აღსანიშნ ობიექტთან და სულ უფრო პირობით სახეს იღებდა.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

12. ტექსტის მიხედვით, ანბანური დამწერლობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

- (ა) ანბანური დამწერლობის საშუალებით ნიშანთა მცირე რაოდენობის გამო შეზღუდულად ხდება ენობრივი ნიუანსების გადმოცემა.
- (ბ) პირველი ანბანური სისტემა ლოგოგრაფიული დამწერლობის საფუძველზე წარმოიშვა.
- (გ) ანბანური დამწერლობის ფართოდ გავრცელების გამო მისი წარმომავლობის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია.
- (დ) ანბანური დამწერლობის ნიშნები კონკრეტული ენის ბგერით ფორმებს შეესაბამება.
- (ე) ანბანურ დამწერლობაში ყველაზე ზუსტადაა ასახული მსგავსება აღმნიშვნელსა და აღსანიშნ ობიექტს შორის.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

13. ჩამოთვლილთაგან რომელი არ დასტურდება ტექსტში?

- (ა) იდეოგრაფიული დამწერლობა ორ განსხვავებულ სახეს მოიცავს, ფონოგრაფიული დამწერლობა კი ერთგვაროვნებით გამოირჩევა.
- (ბ) „იდეალური“ პიქტოგრამის ადვილად „წაკითხვას“ აღსანიშნავია და აღმნიშვნელს შორის გრაფიკული მსგავსება განაპირობებს.
- (გ) წერით სისტემებში ნიშანი შეიძლება აღნიშნავდეს მთლიან სიტყვას, ცალკეულ მარცვალს, ცალკეულ ბგერას ან ფონემას.
- (დ) ზოგიერთი ენის თავისებურებები სილაბოგრაფიული დამწერლობის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ.
- (ე) კონსონანტური დამწერლობა სილაბოგრაფიული ტიპის დამწერლობების შემდგომი განვითარებაა, ანბანური კი კონსონანტურის საფუძველზეა შექმნილი.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

14. ერთ-ერთი შუმერული პიქტოგრამა, რომელიც ისარს ნიშნავდა, მოხაზულობით ისრის ფორმის ↑ იყო და წარმოითქმებოდა, როგორც TI. გარკვეული პერიოდის შემდეგ შუმერულ ენაში ამავე ბგერითმა შემადგენლობამ სხვა სიტყვის გამოხატვაც დაიწყო: TI – „სიცოცხლე“. ეს სიტყვაც გამოისახებოდა ისრის ↑ საშუალებით, ლოგოგრამით, რომელსაც თითქმის აღარაფერი ჰქონდა საერთო ამ ნიშნის თავდაპირველ მნიშვნელობასთან.

მოყვანილი მაგალითი გამოდგება იმის საილუსტრაციოდ,

- (ა) რომ პიქტოგრაფიულ დამწერლობაში ნიშანი ყოველთვის არ გამოხატავდა გარეგნულ მსგავსებას აღსანიშნ ობიექტთან.
- (ბ) თუ როგორ შეიქმნა სილაბურ-კონსონანტური დამწერლობა.
- (გ) რომ დამწერლობის უძველესი ნიმუშები შუმერულ ცივილიზაციას უკავშირდება.
- (დ) პიქტოგრაფიული და ლოგოგრაფიული დამწერლობების სისტემები გარკვეული დროის განმავლობაში თანაარსებობდნენ.
- (ე) რომ ლოგოგრაფიული დამწერლობით შეზღუდულად გადმოიცემოდა ენობრივი ნიუანსები და რთული სინტაქსური მიმართებები.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

# ტექსტი C

დედამიწაზე სიცოცხლეს მზის ენერგია განაპირობებს. მცენარეები და ზოგიერთი ბაქტერია „იჭერენ“ მზის სინათლეს, რომელიც დედამიწამდე 150 მილიონ კილომეტრს გადის და გარდაქმნიან მას ქიმიურ ბმათა ენერგიად. ამ პროცესს ფოტოსინთეზი (ბერძ. *phos* – სინათლე) ეწოდება. ფოტოსინთეზის პროცესში ხმელეთზე გავრცელებული მცენარეები, წყალმცენარეები და ფოტოსინთეზის უნარის მქონე ბაქტერიები ატმოსფეროდან შთანთქავენ ნახშირორჟანგს ( $CO_2$ ) და წყლის დაშლის შედეგად გამოყოფენ ჟანგბადს ( $O_2$ ), რომელიც დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის აუცილებელი პირობაა. მცენარეები წელიწადში დაახლოებით 200 მილიარდ ტონა ნახშირორჟანგს ითვისებენ და 145 მილიარდ ტონა ჟანგბადს გამოყოფენ. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ დღეისათვის ატმოსფეროს ჟანგბადის უდიდესი წილი ფოტოსინთეზური წარმოშობისაა. ფოტოსინთეზის პროცესში ასევე წარმოიქმნება ორგანული ნაერთები, რომლებიც კვებავს თავად მცენარეს და დედამიწაზე არსებულ ცხოველთა სამყაროს, გარდა ქემოსინთეზური ბაქტერიებისა. ფოტოსინთეზის შედეგად დედამიწაზე ყოველწლიურად 1000 მილიარდ ტონამდე ორგანული ნივთიერება წარმოიქმნება. ფოტოსინთეზი ერთადერთი ბიოლოგიური პროცესია, რომლის დროსაც ხდება თავისუფალი ენერგიის გამოყოფა. სხვა დანარჩენი ბიოლოგიური პროცესების წარმართვისათვის კი სწორედ ამ ენერგიის გამოყენება ხდება. გამონაკლისს ქემოსინთეზის პროცესი წარმოადგენს, რომლის დროსაც ქემოსინთეზური ორგანიზმები არ იყენებენ მზის ენერგიას, ისინი ორგანულ ნაერთებს არაორგანული ნაერთების ჟანგვით ქმნიან.

ფოტოსინთეზის შესწავლა ინგლისელმა ქიმიკოსმა პრისტლიმ დაიწყო 1770-80 წლებში. მან დაასკვნა, რომ მცენარეები გამოყოფენ ჟანგბადს, თუმცა ვერ შენიშნა, რომ ამისათვის მცენარე სინათლეს იყენებს. მოგვიანებით დაადგინეს, რომ მცენარეები შთანთქავენ ნახშირორჟანგს და წყლის გამოყენებით წარმოქმნიან ორგანულ ნაერთებს. 1842 წელს მაიერმა განაცხადა, რომ მცენარეებში მზის ენერგია ქიმიურ ენერგიად გარდაიქმნება, რაც ენერგიის მუდმივობის კანონის პრინციპით ხდება. 1877 წელს პფეფერმა ამ პროცესს ფოტოსინთეზი უწოდა.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

ფოტოსინთეზი პირდაპირ ან ირიბად თითქმის მთელ ცოცხალ სამყაროს ასაზრდოებს ჟანგბადით და საკვებით. ცოცხალი ორგანიზმები სხვადასხვა – აუტოტროფული ან ჰეტეროტროფული – ფორმით იკვებებიან. **აუტოტროფები**, ანუ „თვითმკვებები“ (ბერძ. *auto* – თვით, *trophos* – კვება) არსებობისათვის სხვა ორგანიზმიდან არაფერს იღებენ, ორგანულ მოლეკულებს ისინი გარემოდან მიღებული CO<sub>2</sub>-ისა და სხვა არაორგანული ნედლეულისაგან წარმოქმნიან. თავად აუტოტროფები კი არააუტოტროფული ორგანიზმებისათვის ორგანული ნივთიერებების წყაროს წარმოადგენენ და ამიტომ მათ ბიოსფეროს მწარმოებლებსაც უწოდებენ. მცენარეები ხმელეთის ეკოსისტემების ყველაზე გავრცელებული აუტოტროფებია. მცენარის ყველა მწვანე ქსოვილს შეუძლია ფოტოსინთეზის წარმოება, მაგრამ ძირითადად ეს პროცესი ფოთოლში მიმდინარეობს, კერძოდ, ფოთლის მეზოფილურ უჯრედებში, რომლებიც შეიცავს ორგანელებს (ბერძ. *organon* — იარაღი, ორგანო) – **ქლოროპლასტებს**. მათი მოვალეობაა ფოტოსინთეზის რეაქციების შესრულება. ქლოროპლასტი შეიცავს მწვანე პიგმენტებს – **ქლოროფილს**; სწორედ ის შთანთქავს მზის ენერგიას და მისი დახმარებით მცენარე წარმოქმნის მისთვის საჭირო ორგანულ ნივთიერებს. ფოტოსინთეზის უნარის მქონე წყლის ეკოსისტემის ორგანიზმებია: მრავალუჯრედიანი წყალმცენარეები, ზოგიერთი ერთუჯრედიანი და ზოგიერთი პროკარიოტი, ანუ ისეთი ერთუჯრედიანი ორგანიზმი, რომელსაც არა აქვს სრულყოფილი ბირთვი.

**ჰეტეროტროფებს** (ბერძ. *hetero* – სხვა) არ გააჩნიათ საკვების წარმოქმნის უნარი და სხვა ორგანიზმების მიერ წარმოებული ნივთიერებების ხარჯზე ცოცხლობენ. ისინი ბიოსფეროს ყველაზე დიდი მომხმარებლები არიან. „სხვათა მჭამელები“ იკვებებიან როგორც მცენარეებით, ისე სხვა ცოცხალი ორგანიზმებით. ზოგიერთი ჰეტეროტროფი კი, მაგალითად, სოკოებისა და ბაქტერიების უმრავლესობა, მკვდარი ორგანიზმის ნარჩენებს – ცხოველურ და მცენარეულ ნაშთებს – შთანთქავს მათი არაორგანულ ნაერთებამდე დაშლის გზით. მათ **რედუცენტებს** (ლათ. *reducere* – დაშლა, შემცირება) უწოდებენ.

ფოტოსინთეზის წარმოქმნა დაახლოებით 3-4 მილიარდი წლის წინ უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო დედამიწაზე. მზე გახდა სასიცოცხლო ენერგიის მთავარი წყარო, დაიწყო მუდმივად განახლებადი ორგანული შენაერთების წარმოქმნა, შედეგად, განვითარდა ცოცხალი სამყარო თავისი ნაირფეროვნებით. დედამიწაზე სიცოცხლის მასშტაბებს განსაზღვრავს ფოტოსინთეზის მასშტაბები. დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, როდესაც ბუნებრივი რესურსების გამოყენება მკვეთრად გაიზარდა მათი მთავარი მომხმარებლის, ადამიანის მიერ, ცხადი გახდა, რომ ფოტოსინთეზის პროდუქტების მარაგი შეიძლება მალე შემცირდეს. სწორედ ამიტომ ფოტოსინთეზის პროდუქტიულობის შენარჩუნება და ოპტიმიზაცია კაცობრიობის მთავარი ამოცანაა.

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

15. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი აწარმოებს ფოტოსინთეზს?

- (ა) ქემოსინთეზური ბაქტერიები
- (ბ) სოკოები
- (გ) ქლოროფილის შემცველი ქსოვილი
- (დ) მხოლოდ ხმელეთზე გავრცელებული მცენარეები
- (ე) ყველა ერთუჯრედიანი ორგანიზმი

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

16. ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მონაცემია მცდარი?

- (ა) მზე დედამიწიდან დაახლოებით 150 მილიონი კილომეტრითაა დაშორებული.
- (ბ) ფოტოსინთეზის კვლევა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო.
- (გ) ტერმინი „ფოტოსინთეზი“ ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში.
- (დ) ცოცხალი სამყაროს განვითარება დედამიწაზე დაახლოებით 3-4 მილიარდი წლის წინ დაიწყო.
- (ე) მცენარეების მიერ წლის განმავლობაში გამოყოფილი ჟანგბადის რაოდენობა აღემატება მათ მიერ ათვისებული ნახშირორჟანგის რაოდენობას.

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------



17. ცოცხალი ორგანიზმების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ცოცხალი ორგანიზმები იყოფა სამ ჯგუფად: აუტოტროფები, ჰეტეროტროფები და რედუცენტები.
- (ბ) ცოცხალი ორგანიზმების უდიდესი ნაწილი აუტოტროფია.
- (გ) ჰეტეროტროფები იკვებებიან მხოლოდ მცენარეებით.
- (დ) აუტოტროფები გავრცელებულია როგორც ხმელეთზე, ისე წყალში.
- (ე) ერთუჯრედიან ორგანიზმებს, როგორც წესი, არა აქვთ სრულყოფილი ბირთვი.

18. ჩამოთვლილ განმარტებათაგან რომელია მართებული?

- (ა) ქლოროპლასტი ეწოდება მცენარის უჯრედს, რომელიც ფოტოსინთეზის პროცესზეა პასუხისმგებელი.
- (ბ) თვითმკვებავები იგივე ბიოსფეროს მწარმოებელი ორგანიზმებია.
- (გ) ქემოსინთეზურს უწოდებენ ბაქტერიებს, რომლებიც არ ქმნიან ორგანულ ნაერთებს.
- (დ) ჰეტეროტროფი სხვების მკვებავ ორგანიზმს ნიშნავს.
- (ე) რედუცენტებს უწოდებენ ისეთ ორგანიზმებს, რომლებსაც არა აქვთ საკვების წარმოქმნის უნარი.

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

19. ფოტოსინთეზის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელი დასტურდება ტექსტში?

- I. „ფოტოსინთეზი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს ენერგიის გარდაქმნას.
- II. ფოტოსინთეზის დროს ხდება ჟანგბადის გამოყოფა და ორგანული ნივთიერებების წარმოქმნა.
- III. ფოტოსინთეზი ბიოლოგიური პროცესია, რომელიც ენერგიის მუდმივობის კანონის პრინციპით მოქმედებს.
- IV. ვიდრე მზის ენერგია არსებობს, ფოტოსინთეზის პროდუქტები დედამიწაზე ამოუწურავია.

- (ა) მხოლოდ I და II
- (ბ) მხოლოდ I, II და III
- (გ) მხოლოდ II და III
- (დ) მხოლოდ II და IV
- (ე) მხოლოდ II, III და IV

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

20. ჩამოთვლილთაგან რომელი ინფორმაციაა მართებული?

- (ა) ტერმინი „ფოტოსინთეზი“ პირველად პრისტლიმ შემოიტანა.
- (ბ) ორგანული ნაერთების წარმოქმნის უწყვეტი პროცესი ცოცხალი სამყაროს მრავალფეროვნების საფუძველია.
- (გ) თავისუფალი ენერჯის გამოყოფა ყველა ბიოლოგიური პროცესის შედეგია.
- (დ) ორგანული ნაერთების წარმოქმნა ცოცხალ ორგანიზმებს შეუძლიათ მხოლოდ მზის სინათლის გამოყენების პირობებში.
- (ე) ჟანგბადის მიღება მხოლოდ ფოტოსინთეზის გზით არის შესაძლებელი.

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

21. რომელი დასკვნა არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ფოტოსინთეზისა და ქემოსინთეზის პროცესს თან ახლავს ორგანული ნაერთების წარმოქმნა.
- (ბ) დედამიწაზე ცოცხალი სამყაროს განვითარება ფოტოსინთეზის შედეგია.
- (გ) ბიოსფეროს საფრთხეს უქმნის მისი მთავარი მომხმარებელი – ადამიანი.
- (დ) ფოტოსინთეზის წარმოება მცენარის ყველა ნაწილს შეუძლია.
- (ე) დედამიწაზე სიცოცხლის მრავალფეროვნება ფოტოსინთეზის მასშტაბებზეა დამოკიდებული.

# ტესტის დასასრული

ტესტი A

ტესტი B

ტესტი C